საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-09/900

ქ. ბათუმი 01 - დეკემბერი, 2016 წ

2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 72-78-ე, 95-101-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის", ,,2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 19 აგვისტოს №01-08/44 ბრძანების, ბსუ-ს განათლების ფაკულტეტის 2016 წლის 24 ნოემბრის MES 6 16 01409736, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 18 ნოემბრის MES 4 16 01390267, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის 2016 წლის 21 ნოემბრის MES 7 16 01399775, ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 22 ნოემბრის MES 2 16 01401235, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 21 ნოემბრის MES 0 16 01394313, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 16 ნოემბრის MES 4 16 01376380, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 17 ნოემბრის MES 6 16 01377822, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 21 ნოემბრის MES 3 16 01399230 და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 18 ნოემბრის MES 6 16 01391619 მოხსენებითი ბარათების, საფინანსო–ეკონომიკური დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაწყებული იქნეს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს იმ სტუდენტთა მიმართ (**დანართი №1**) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად, რომელთაც 2016 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით არ გაუვლიათ ადმინისტრაციული რეგისტრაცია - არა აქვთ გადახდილი შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასურის 1/3 (მეორე ეტაპი).

2. დაინტერესებულ პირებს - სტუდენტებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით განემარტოთ, რომ შეუძლიათ **არაუგვიანეს 2016 წლის 5 დეკემბრისა,** ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ აქტთან დაკავშირებით.

3. ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, №4 ოთახი).

4. ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება დაევალოს ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტს.

5. ფინანსური დავალიანების მქონე ბსუ-ს სტუდენტთა მიმართ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცეს **2016 წლის 5 დეკემბრის შემდეგ,** ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად.

6. ბრძანება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, საჯარო გამოცხადების მიზნით, ბრძანების გამოცემის დღესვე გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანატებთან და კანცელარიასთან თვალსაჩინო ადგილას არსებულ საინფორმაციო დაფებზე და ასევე განთავსდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30);

8. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**